

სს „აჭარის წყლის ალიანსი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი

სს „აჭარის წყლის ალიანსი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,480,562	167,244
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		2,458,388	1,974,034
სხვა მოთხოვნები	7	2,463,251	-
არამატერიალური აქტივები	6	211	406
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		426,011	1,423,646
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,828,422	3,565,330
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,006,609	2,698
გადახდილი ავანსები	8	8,236,674	5,895,188
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2,898,431	49,080
სულ მიმდინარე აქტივები		12,141,714	5,946,967
სულ აქტივები		24,970,137	9,512,297
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	650,000	650,000
გადახდილი კაპიტალი		21,975,317	9,285,700
დაუფარავი ზარალი		(521,518)	(426,668)
სულ კაპიტალი		22,103,799	9,509,032
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		2,828,066	1,449
გადასახადები გარდა მოგებისა		38,272	1,816
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,866,338	3,264
სულ ვალდებულებები		2,866,338	3,264
სულ კაპიტალი და ვალდებულება		24,970,137	9,512,297

ხელმოწერილი პირი

სს „აჭარის წყლის ალიანსი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
სხვა შემოსავალი	4	636,920	466,266
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(789,376)	(490,736)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(152,456)	(24,470)
საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნამდე დეპოზიტებზე		55,828	2,798
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმები)		1,778	705
წმინდა ფინანსური შემოსავალი		57,605	3,503
წლის ზარალი		(94,851)	(20,967)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(94,851)	(20,967)

ხელმომწერი პირი:

სს „აჭარის წყლის ალიანსი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	გადახდილი კაპიტალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	650,000	(426,668)	9,285,700	9,509,032
პერიოდის შედეგი	-	(94,851)	-	(94,851)
გადახდილი კაპიტალის ზრდა	-	-	12,689,617	12,689,617
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	650,000	(521,518)	21,975,317	22,103,799

ხელმომწერი პირი:

სს „აჭარის წყლის ალიანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2021 წელი

		2021 წელი	2020 წელი
	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	49 080,02	41216,47
	ფული ბანკში	49 080,02	41 216,47
1	ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო მიზნებისათვის		
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	57 605,33	3 502,74
	მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	-2 947 604,64	7 800,00
	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	997 635,00	-791 466,70
	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება (შემცირება „+“, ზრდა „-“)	-1 003 911,17	779,34
	წინასწარ გაწეული ხარჯების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	-2 341 485,94	-4 552 475,26
	საოპერაციო ხარჯები	-789 375,61	-490 736,13
	ცვეთა და არაფულადი ხარჯები	47 131,99	22 805,33
	მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	2 826 617,05	-287 112,82
	საგადასახადო ვალდებულებების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	36 456,62	-331,67
	წმინდა ფინანსური სასრები საოპერაციო მიზნებისათვის:	-3 116 931,37	-6 087 235,17
2	ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო მიზნებისათვის:		
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-6 614 145,91	0,00
	KfW ბანკის მიერ პროექტში გადახდილი თანხები	9 755 027,15	4 770 181,55
	ფინანსთა სამინისტროდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერი	2 934 589,77	858 650,68
	სხვა საინვესტიციო ხარჯები	-746 108,80	0,00
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო მიზნებისათვის:	5 329 362,21	5 628 832,23
3	ფულადი ნაკადები ფინანსური მიზნებისათვის:		
	მიღებული სუბსიდიები	636 919,75	466 266,49
	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური მიზნებისათვის:	636 919,75	466 266,49
	ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	2 849 350,59	7 863,55
	ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის:	2 898430,61	49 080,02

ხელმოწერილი პირი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „აჭარის წყლის ალიანსი“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია 2017 წლის 7 აპრილს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 445505178.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N1.

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე წყლისა და წყალარინების საწარმოებს შორის კოორდინირებისა და თანამშრომლობის პლატფორმის ფუნქცია მომსახურების მიწოდების დონის, აქტივების ექსპლუატაციის მდგრადობისა და ობიექტების ექსპლუატაციის დანახარჯების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

ამ მიზნით, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ასევე ევროკავშირის დამატებითი თანადაფინანსებით აჭარაში მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდვის პროგრამა, რომლის განხორციელება ხდება დაბებში არსებული მოძველებული და ამორტიზირებული, ხოლო სოფლებში კი უმეტესწილად მოსახლეობის მიერ არასტანდარტული და კუსტარულად შექმნილი წყალმომარაგებისა და გაუმართავი (უმეტეს შემთხვევაში კი არარსებული) წყალარინების სისტემების თანამედროვე სახის ინფრასტრუქტურით ჩანაცვლების მიზნით.

პროგრამის მიზანია აჭარის დაბებსა და სოფლებში შეიქმნას სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული პროგრამა მრავალსაფეხურიანია.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს სრულად ფლობდა და კონტროლს უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები **მომზადების საფუძვლები, შესაბამისობის პრინციპი**

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. კომპანიის მსს ფას-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისის გარდა, მსს ფასს მოითხოვს 2021 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტების და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულ გამოყენებას საწყისი მსს ფასს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ყველა შემდგომი პერიოდისთვის, რომლებიც წარმოდგენილია მის პირველ მსს ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მსს ფასს მოითხოვს, რომ წარმოდგენილ იქნას მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო და არჩევით გამონაკლისებს მსს ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია რაიმე ზოგადი გამონაკლისი, რაც უკავშირდება მსს ფასს სექცია 35.11-ის მიხედვით ერთი ან მეტი შესაბამისი კორექტირების შეუძლებლობას საწარმოსთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს:
საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებს.

- საბანკო ნაშთებზე დარიცხული პროცენტი
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც

გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გადაიხადოს ეს თანხა წარსულში დაქირავებულის მხრიდან მიწოდებული სერვისის შედეგად და ამ ვალდებულების შეფასება საიმედოდ შეიძლება.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის

- (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და დაუბრუნებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ერთეულების უმრავლესობის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 და 10 წელი. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმასაკა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება არსებობის შემთხვევაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება როდესაც ეს ზრდის ეკონომიკური სარგებელის წარმოქმნის შესაძლებლობას იმ კონკრეტულ აქტივში რომელსაც მიემართება. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია მოგება ან ზარალში დარიცხვისთანავე.

მარაგი

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის, გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს წამყვან ქართულ ბანკში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს.

აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კაპიტალში დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება. ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუშესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს შორის, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განაწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირებული როგორც ვალი ან საკუთარი კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებადი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებადი თანხების ანარიცხით.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოღინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოღინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან.

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შემცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა დეფოლტი, პროცენტის ან ძირითადი თანხის

გადაუხდელობა;

- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა;
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნები ამოუღებადია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

შესაბამისად, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2021	2020
ა/რ ეკონომიკის სამინისტროს სუბსიდირება	636,919.75	466,266.49
სხვა შემოსავალი	1777.58	704.76
სულ სხვა შემოსავლები	638,697.33	466,971.25

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
ხელფასები	557,087.44	421,180.98
ქონების გადასახადი	38,242.12	1,785.50
საწყობის იჯახის ხარჯი	36,462.57	0
ძირითადი მასალების დანახარჯები	30,841.55	15,273.80
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	321.90
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	4,973.00	4,737.00
ცვეთა და ამორტიზაცია	47,131.99	22,805.23
მივლინება	1,560	390
ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	9,793.38	894.57
საკომუნიკაციო ხარჯი	5,410.35	3,950.13
სხვა ხარჯები	57,873.21	19,397.02
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	789,375.61	490,736.13

6. ძირითადი საშუალებები

	დაუმტ. მშენებლობა	სპეც. ტექნიკა	საოფისე აღჭურვილობა (მ.შ. ავეჯი)	სატრანსპორტო საშუალებები	ტექნიკის აღსესრულები და აღჭურვილობა	მანქანა დანადგ. არები	სარგებლობაში გადმოცემული ქონების კეთილმოწყობა	სხვა (მ.შ. არამატერიალური აქტივი)	სულ
ღირებულება									
ბალანსი 31.12.2020	-	-	20,889	184,325	-	-		975	206,189
შეოსვლა	658,652	4,794,991	55,852	847,119	261,799	654,386	187,929	-	7,460,727
გასვლა	(100,472)	-		-	-	-	-	-	(100,472)
საბალანსო ღირებულება	558,180	4,794,991	76,741	1,031,444	261,799	654,386	187,929	975	7,566,444
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება									
ნაშთი 31.12.2020	-	-	(12,354)	(25,616)	-	-	-	(569)	(38,538)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(8,300)	(38,637)	-	-	-	(195)	(47,132)
ცვეთის ამორტუნება გასხვისებაზე	-	-		-	-	-	-		-
ნაშთი 31.12.2021	-	-	(20,654)	(64,253)	-	-	-	(763)	(85,670)
ბალანსი 31.12.2021									
ბალანსი 31.12.2020	-	-	8,535	158,709	-	-	-	406	167,650
ბალანსი 31.12.2021	558,180	4,794,991	56,087	967,191	261,799	654,386	187,929	211	7,480,773

7. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	24632501	0
სულ სხვა მოთხოვნები	24632501	0

* აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნას KFW ბანკის მიმართ, რომელიც გადასახდელია შპს „GT GROUP“-ზე 1 936 328,32, ხოლო 526 922,36 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას აჭარის. ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, რომელიც წარმოადგენს შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“-ზე გადასახდელ თანხას.

8. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
საკონსულტაციო კომპანიებისათვის (Fichtner და MACS) წინასწარ გადახდილი თანხები**	8 227 133	5 895 188
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	1,864,275	1,863,421

** ნაშთი ძირითადად შეადგენს საკონსულტაციო კომპანიებისათვის გადახდილ თანხებს (Fichtner და MACS), აღნიშნული სამუშაოები მიმდინარე პროცესშია.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნამდე ანაბარი	49 080	2 898 431
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	49 080	2 898 431

მოთხოვნამდე ანაბარი წარმოადგენს სამ თვემდე ან ნაკლებ ვადაში მოთხოვნადი ანაბარი შესყიდვის თარიღიდან.

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში. კომპანიის მფლობელები უფლებამოსილი არიან დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით და უფლებამოსილი არიან ჰქონდეთ ხმის უფლება ფლობილი წილის პროპორციულად კომპანიის აქციონერთა კრებაზე.

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა, 2018 წლის შემდგომ:

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		650000
საწესდებო კაპიტალის კლება/ზრდა	10	0
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		650000

გადახდილი კაპიტალი

წარდგენილი საწესდებო კაპიტალის მეტობა/(ნაკლებობა) ფაქტიურ შენატანთან აღირიცხება როგორც გადახდილი/(გადაუხდელი) კაპიტალი.

2021 წელს კომპანიაში დამფუძნებლის მიერ პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის (კაპიტალური ტრანსფერის მუხლით) დაფინანსება განხორციელდა 2,934,589.77 ლარით, ხოლო 2020 წელს 7 800 ათასი ლარი.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მართვას (კაპიტალის გაზრდა/შემცირება) ახორციელებენ პარტნიორები.

12. პირობითი ვალდებულებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით.

სასამართლო დავა

არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან რომელშიც სამართალდარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საზოგადოება ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ მათი პოზიციის წარმატებულად გატარების შემთხვევაში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

13. დაკავშირებული მხარეები

2021 წლის 31 დეკემბერს, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 1 იანვარს კომპანიას სრულად ფლობდა და აკონტროლებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები.

წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2021	2020
მენეჯმენტის ანაზღაურება	196,532.50	181,275
სულ	196,532.50	181,275

ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ოპერაციებს ახორციელებს საწარმოებთან რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან მნიშვნელოვან გავლენას განიცდის საქართველოს მთავრობისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან. კომპანიამ აირჩია, რომ გამოიყენოს მსს ფასს სექცია 33-ის გამონაკლისი დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნებისთვის, რომელიც უფლებას იძლევა წარდგენისას შემცირდეს დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნები მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან მიმართებაში.

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ სხვა შემოსავლის და ხარჯების ჯამური ოდენობა და შესაბამისი ნაშთები სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან არ არის მნიშვნელოვანი.

14. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი იყო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით.

მსს ფასის პირველად გამოყენებას გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 28 მარტს.

სს „აჭარის წყლის ალიანსი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი ბარათი

სს „აჭარის წყლის ალიანსი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,480,562	167,244
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის		2,458,388	1,974,034
სხვა მოთხოვნები	7	2,463,251	-
არამატერიალური აქტივები	6	211	406
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		426,011	1,423,646
სულ გრძელვადიანი აქტივები		12,828,422	3,565,330
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		1,006,609	2,698
გადახდილი ავანსები	8	8,236,674	5,895,188
ფული და ფულის ექვივალენტები	9	2,898,431	49,080
სულ მიმდინარე აქტივები		12,141,714	5,946,967
სულ აქტივები		24,970,137	9,512,297
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	650,000	650,000
გადახდილი კაპიტალი		21,975,317	9,285,700
დაუფარავი ზარალი		(521,518)	(426,668)
სულ კაპიტალი		22,103,799	9,509,032
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		2,828,066	1,449
გადასახადები გარდა მოგებისა		38,272	1,816
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,866,338	3,264
სულ ვალდებულებები		2,866,338	3,264
სულ კაპიტალი და ვალდებულება		24,970,137	9,512,297

ხელმოწერილი პირი

ა. 

სს „აჭარის წყლის ალიანსი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	2021	2020
სხვა შემოსავალი	4	636,920	466,266
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(789,376)	(490,736)
საოპერაციო საქმიანობის შედეგი		(152,456)	(24,470)
საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნამდე დეპოზიტებზე		55,828	2,798
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმები)		1,778	705
წმინდა ფინანსური შემოსავალი		57,605	3,503
წლის ზარალი		(94,851)	(20,967)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(94,851)	(20,967)

ხელმომწერი პირი:

ა. 

სს „აჭარის წყლის ალიანსი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	გადახდილი კაპიტალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	650,000	(426,668)	9,285,700	9,509,032
პერიოდის შედეგი	-	(94,851)	-	(94,851)
გადახდილი კაპიტალის ზრდა	-	-	12,689,617	12,689,617
კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	650,000	(521,518)	21,975,317	22,103,799

ხელმოწერი პირი:


a. 

სს „აჭარის წყლის ალიანსი“

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2021 წელი

		2021 წელი	2020 წელი
	ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	49 080,02	41216,47
	ფული ბანკში	49 080,02	41 216,47
1	ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო მიზნებისათვის		
	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	57 605,33	3 502,74
	მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	-2 947 604,64	7 800,00
	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	997 635,00	-791 466,70
	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება (შემცირება „+“, ზრდა „-“)	-1 003 911,17	779,34
	წინასწარ გაწეული ხარჯების შემცირება „+“ (ზრდა „-“)	-2 341 485,94	-4 552 475,26
	საოპერაციო ხარჯები	-789 375,61	-490 736,13
	ცვეთა და არაფულადი ხარჯები	47 131,99	22 805,33
	მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	2 826 617,05	-287 112,82
	საგადასახადო ვალდებულებების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	36 456,62	-331,67
	წმინდა ფინანსური სასრები საოპერაციო მიზნებისათვის:	-3 116 931,37	-6 087 235,17
2	ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო მიზნებისათვის:		
	ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-6 614 145,91	0,00
	KfW ბანკის მიერ პროექტში გადახდილი თანხები	9 755 027,15	4 770 181,55
	ფინანსთა სამინისტროდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერი	2 934 589,77	858 650,68
	სხვა საინვესტიციო ხარჯები	-746 108,80	0,00
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო მიზნებისათვის:	5 329 362,21	5 628 832,23
3	ფულადი ნაკადები ფინანსური მიზნებისათვის:		
	მიღებული სუბსიდიები	636 919,75	466 266,49
	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური მიზნებისათვის:	636 919,75	466 266,49
	ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების ზრდა „+“ (შემცირება „-“)	2 849 350,59	7 863,55
	ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის:	2 898 430,61	49 080,02

ხელმომწერი პირი

9. 

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ორგანიზაცია და საქმიანობა

სს „აჭარის წყლის ალიანსი“ წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია 2017 წლის 7 აპრილს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 445505178.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ. N1.

სააქციო საზოგადოება „აჭარის წყლის ალიანსი“-ს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე წყლისა და წყალარინების საწარმოებს შორის კოორდინირებისა და თანამშრომლობის პლატფორმის ფუნქცია მომსახურების მიწოდების დონის, აქტივების ექსპლუატაციის მდგრადობისა და ობიექტების ექსპლოატაციის დანახარჯების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

ამ მიზნით, გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ასევე ევროკავშირის დამატებითი თანადაფინანსებით აჭარაში მიმდინარეობს აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების გაწმენდვის პროგრამა, რომლის განხორციელება ხდება დაბებში არსებული მოძველებული და ამორტიზირებული, ხოლო სოფლებში კი უმეტესწილად მოსახლეობის მიერ არასტანდარტული და კუსტარულად შექმნილი წყალმომარაგებისა და გაუმართავი (უმეტეს შემთხვევაში კი არარსებული) წყალარინების სისტემების თანამედროვე სახის ინფრასტრუქტურით ჩანაცვლების მიზნით.

პროგრამის მიზანია აჭარის დაბებსა და სოფლებში შეიქმნას სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურა შემდგომში სათანადო ექსპლუატაციითა და უზრუნველყოფით. აღნიშნული პროგრამა მრავალსაფეხურიანია.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს სრულად ფლობდა და კონტროლს უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტი.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები **მომზადების საფუძვლები, შესაბამისობის პრინციპი**

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ. კომპანიის მსს ფას-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისის გარდა, მსს ფასს მოითხოვს 2021 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტების და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულ გამოყენებას საწყისი მსს ფასს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ყველა შემდგომი პერიოდისთვის, რომლებიც წარმოდგენილია მის პირველ მსს ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მსს ფასს მოითხოვს, რომ წარმოდგენილ იქნას მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო და არჩევით გამონაკლისებს მსს ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია რაიმე ზოგადი გამონაკლისი, რაც უკავშირდება მსს ფასს სექცია 35.11-ის მიხედვით ერთი ან მეტი შესაბამისი კორექტირების შეუძლებლობას საწარმოსთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს:

საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებს.

- საბანკო ნაშთებზე დარიცხული პროცენტი
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც

გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გადაიხადოს ეს თანხა წარსულში დაქირავებულის მხრიდან მიწოდებული სერვისის შედეგად და ამ ვალდებულების შეფასება საიმედოდ შეიძლება.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის

- (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და დაუბრუნებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას;
- (დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთადი ღირებულების ჩამოსაწერად და გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ერთეულების უმრავლესობის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 და 10 წელი. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება არსებობის შემთხვევაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება როდესაც ეს ზრდის ეკონომიკური სარგებელის წარმოქმნის შესაძლებლობას იმ კონკრეტულ აქტივში რომელსაც მიემართება. ყველა სხვა ხარჯი აღიარებულია მოგება ან ზარალში დარიცხვისთანავე.

მარაგი

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება შეფასებული გასაყიდი ფასით, გამოკლებული დასრულების შეფასებული დანახარჯები და გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას. რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის, გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს წამყვან ქართულ ბანკში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს.

აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კაპიტალში დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება. ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუმესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს შორის, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განაწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირებული როგორც ვალი ან საკუთარი კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებადი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსი აისახება თვითღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებადი თანხების ანარიცხით.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხდება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოძინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოძინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან.

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი, პროცენტის ან ძირითადი თანხის

- გადაუხდელობა;
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა;
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნები ამოუღებელია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

შესაბამისად, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2021	2020
ა/რ ეკონომიკის სამინისტროს სუბსიდირება	636,919.75	466,266.49
სხვა შემოსავალი	1777.58	704.76
სულ სხვა შემოსავლები	638,697.33	466,971.25

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
ხელფასები	557,087.44	421,180.98
ქონების გადასახადი	38,242.12	1,785.50
საწყობის იჯახის ხარჯი	36,462.57	0
ძირითადი მასალების დანახარჯები	30,841.55	15,273.80
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	321.90
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	4,973.00	4,737.00
ცვეთა და ამორტიზაცია	47,131.99	22,805.23
მივლინება	1,560	390
ოფისის მიმდინარე რემონტი და კომუნალური ხარჯები	9,793.38	894.57
საკომუნიკაციო ხარჯი	5,410.35	3,950.13
სხვა ხარჯები	57,873.21	19,397.02
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	789,375.61	490,736.13

6. ძირითადი საშუალებები

	დაუმთ. მშენებლობა	სვეც-ტექნიკა	საოფისე აღჭურვილობა (მ.შ. ავეჯი)	სატრანსპორტო საშუალებები	ტექნიკის აქსესუარები და აღჭურვილობა	მანქანა დანადგ-არები	სარგებლობაში გადმოცემული ქონების კეთილმოწყობა	სხვა (მ.შ. არამატერიალური აქტივი)	სულ
ღირებულება									
ბალანსი 31.12.2020	-	-	20,889	184,325	-	-		975	206,189
შეოსვლა	658,652	4,794,991	55,852	847,119	261,799	654,386	187,929	-	7,460,727
გასვლა	(100,472)	-		-	-	-	-	-	(100,472)
საბალასო ღირებულება	558,180	4,794,991	76,741	1,031,444	261,799	654,386	187,929	975	7,566,444
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება									
ნაშთი 31.12.2020	-	-	(12,354)	(25,616)	-	-	-	(569)	(38,538)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(8,300)	(38,637)	-	-	-	(195)	(47,132)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-		-	-	-	-		-
ნაშთი 31.12.2021	-	-	(20,654)	(64,253)	-	-	-	(763)	(85,670)
ბალანსი 31.12.2020	-	-	8,535	158,709	-	-	-	406	167,650
ბალანსი 31.12.2021	558,180	4,794,991	56,087	967,191	261,799	654,386	187,929	211	7,480,773

7. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	24632501	0
სულ სხვა მოთხოვნები	24632501	0

* აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნას KFW ბანკის მიმართ, რომელიც გადასახდელია შპს „GT GROUP“-ზე 1 936 328,32, ხოლო 526 922,36 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას აჭარის. ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, რომელიც წარმოადგენს შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008“-ზე გადასახდელ თანხას.

8. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
საკონსულტაციო კომპანიებისათვის (Fichtner და MACS) წინასწარ გადახდილი თანხები**	8 227 133	5 895 188
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	1,864,275	1,863,421

** ნაშთი ძირითადად შეადგენს საკონსულტაციო კომპანიებისათვის გადახდილ თანხებს (Fichtner და MACS), აღნიშნული სამუშაოები მიმდინარე პროცესშია.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მოთხოვნამდე ანაბარი	49 080	2 898 431
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	49 080	2 898 431

მოთხოვნამდე ანაბარი წარმოადგენს სამ თვემდე ან ნაკლებ ვადაში მოთხოვნადი ანაბარი შესყიდვის თარიღიდან.

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში. კომპანიის მფლობელები უფლებამოსილი არიან დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით და უფლებამოსილი არიან ჰქონდეთ ხმის უფლება ფლობილი წილის პროპორციულად კომპანიის აქციონერთა კრებაზე.

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა, 2018 წლის შემდგომ:

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		650000
საწესდებო კაპიტალის კლება/ზრდა	10	0
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		650000

გადახდილი კაპიტალი

წარდგენილი საწესდებო კაპიტალის მეტობა/(ნაკლებობა) ფაქტიურ შენატანთან აღირიცხება როგორც გადახდილი/(გადაუხდელი) კაპიტალი.

2021 წელს კომპანიაში დამფუძნებლის მიერ პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის (კაპიტალური ტრანსფერის მუხლით) დაფინანსება განხორციელდა 2,934,589.77 ლარით, ხოლო 2020 წელს 7 800 ათასი ლარი.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მართვას (კაპიტალის გაზრდა/შემცირება) ახორციელებენ პარტნიორები.

12. პირობითი ვალდებულებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით.

სასამართლო დავა

არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან რომელშიც სამართალდარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საზოგადოება ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ მათი პოზიციის წარმატებულად გატარების შემთხვევაში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

13. დაკავშირებული მხარეები

2021 წლის 31 დეკემბერს, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 1 იანვარს კომპანიას სრულად ფლობდა და აკონტროლებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები.

წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2021	2020
მენეჯმენტის ანაზღაურება	196,532.50	181,275
სულ	196,532.50	181,275

ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ოპერაციებს ახორციელებს საწარმოებთან რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან მნიშვნელოვან გავლენას განიცდის საქართველოს მთავრობისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან. კომპანიამ აირჩია, რომ გამოიყენოს მსს ფასს სექცია 33-ის გამონაკლისი დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნებისთვის, რომელიც უფლებას იძლევა წარდგენისას შემცირდეს დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნები მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან მიმართებაში.

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ სხვა შემოსავლის და ხარჯების ჯამური ოდენობა და შესაბამისი ნაშთები სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან არ არის მნიშვნელოვანი.

14. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი იყო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტით. მსს ფასსის პირველად გამოყენებას გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 28 მარტს.

ა. 



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო G E O R G I A

ინდივიდუალური აუდიტორი და ქონების შემფასებელი

თამაზ ბუკია /პ/ნ: 19001054047/

INDIVIDUAL AUDITOR AND PROPERTY APPRAISER

TAMAZ BUKIA /P/N: 19001054047/

SARAS-A-807255 / www.saras.gov.ge/

№0597 /www.certification.org.ge/

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა №186/01

შესავალი

თანახმად 2021 წლის 31 დეკემბერს სს „აჭარის წყლის ალიანსის“-თან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული №77 ხელშეკრულებისა აუდიტორ თამაზ ბუკიას (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-807255,) მიერ ჩატარდა სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება. ეს თანამშრომლობა მოიცავდა ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც განისაზღვრა ჩემს მიერ ჩასატარებელი სამუშაოს ძირითადი მიზანი.

აუდიტორმა ჩაატარა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის, რომელიც შედგენილია ა.ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 06 თებერვლის №01-01-3/55 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით და მოიცავს: ბალანსსა (ორგანიზაციის აქტივებს, მოთოვნებს; ვალდებულებებსა და კაპიტალს) და მასთან დაკავშირებულ ფორმებსა და დანართებს.

მოსაზრება

ჩვენ მოვახდინეთ სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და შენიშვნებს, რაც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობას

ქ.თბილისი, გლდანი, ვეკუას №1, ოფისი 82. Tbilisi, Gldani 1 M/R, Vekua №1, Office N: 82. t.bukia1960@gmail.com

(+995) 577 54 17 58, (+995) 591 95 24 24

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ მაჩვენებელსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ა.ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 06 თებერვლის №01-01-3/55 ბრძანების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ, აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ა.ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 06 თებერვლის №01-01-3/55 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ბუღალტერი, ხოლო ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებასა და დანიშნულებით წარდგენაზე - ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმის შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით, და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებული უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობების ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაზე თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვლყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეფუძვნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებასა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის თამაზ ბუკია.

თამაზ ბუკია (SARAS-A-807255)

ი/მ „თამაზ ბუკია“

2022 წლის 28 მარტი

თბილისი, საქართველო

**Tamaz
Bukia** Digitally signed
by Tamaz Bukia
Date: 2022.03.28
14:52:12 +04'00'